

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-55

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი), და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 552,766 ათასი ლარით აღემატებოდა. ეს მოვლენა, მე-2 შენიშვნაში მითითებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 და მე-21 შენიშვნებზე, რომლებიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2022 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 8 მაისი

თბილისი, საქართველო



**Building a better
working world**

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 8 მაისი

თბილისი, საქართველო

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	6	1,594,699	1,210,550
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(1,203,676)	(916,988)
გაზის ტრანსპორტირების თვითღირებულება		(73,312)	(65,808)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(53,595)	(46,662)
ცვეთა	9,10	(27,582)	(27,294)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	(46,172)	(45,714)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(42,131)	(43,809)
საოპერაციო მოგება		148,231	64,275
საკუროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		38,224	11,584
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი)		214	(39)
სესხის საწყისი აღიარებიდან მიღებული ზარალი	12	(19,352)	(18,997)
ფინანსური შემოსავალი	12	24,853	14,388
ფინანსური დანახარჯები	15	(108,187)	(54,525)
მოგება დაბეგვრამდე		83,983	16,686
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		83,983	16,686
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		83,983	16,686

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 8 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მარიამ ვალიშვილი
დირექტორი

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	6	1,594,699	1,210,550
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(1,203,676)	(916,988)
გაზის ტრანსპორტირების თვითღირებულება		(73,312)	(65,808)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(53,595)	(46,662)
ცვეთა	9,10	(27,582)	(27,294)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	(46,172)	(45,714)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(42,131)	(43,809)
საოპერაციო მოგება		148,231	64,275
საკუროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		38,224	11,584
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი)		214	(39)
სესხის საწყისი აღიარებიდან მიღებული ზარალი	12	(19,352)	(18,997)
ფინანსური შემოსავალი	12	24,853	14,388
ფინანსური დანახარჯები	15	(108,187)	(54,525)
მოგება დაბეგვრამდე		83,983	16,686
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		83,983	16,686
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		83,983	16,686

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 8 მაისს შემდეგი პირების მიერ:


 მარიამ ვალაშვილი
 დირექტორი

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	734,552	726,339
გაცემული სესხები	12	122,752	133,667
აქტივის გამოყენების უფლება	10	13,534	9,854
არამატერიალური აქტივები		1,812	1,243
სულ გრძელვადიანი აქტივები		872,650	871,103
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,941	2,649
სავაჭრო მოთხოვნები	11	314,101	255,067
გაცემული სესხები	12	21	–
სხვა აქტივები		550	325
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	23,834	16,938
სულ მოკლევადიანი აქტივები		341,447	274,979
სულ აქტივები		1,214,097	1,146,082
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	147,294	147,294
დამატებით შეტანილი კაპიტალი	14	34,967	34,967
დაგროვილი დეფიციტი		(1,914)	(85,897)
სულ საკუთარი კაპიტალი		180,347	96,364
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	15	12,027	36,183
სახელმწიფო გრანტები	16	60,619	68,539
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	16	55,057	55,182
საიჯარო ვალდებულება	10	11,834	6,337
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		139,537	166,241
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	17	476,467	483,645
სესხები და ნასესხები სახსრები	15	387,791	355,502
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		16,668	30,169
სახელმწიფო გრანტები	16	7,682	7,493
საიჯარო ვალდებულება	10	1,698	4,152
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	3,907	2,516
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		894,213	883,477
სულ ვალდებულებები		1,033,750	1,049,718
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,214,097	1,146,082

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (მე-14 შენიშვნა)	დამატებით შეტანილი კაპიტალი (მე-14 შენიშვნა)	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	147,294	34,967	(102,583)	79,678
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	16,686	16,686
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	147,294	34,967	(85,897)	96,364
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	83,983	83,983
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	147,294	34,967	(1,914)	180,347

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		83,983	16,686
არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა	9,10	27,582	27,294
ამორტიზაცია		46	94
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი		(214)	39
შემოსავალი სახელმწიფო გრანტებიდან	6	(7,731)	(7,072)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	46,172	45,714
სესხის საწყისი აღიარებიდან მიღებული ზარალი	12	19,352	18,997
სათადარიგო ნაწილების /დაბალფასიანი მასალების ჩამოწერა	7	219	366
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა			
საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებზე		(10,863)	(5,157)
შემოსულობა იჯარის ხელახალი შეფასებიდან და შეწყვეტიდან	10	(349)	-
ფინანსური დანახარჯები	12, 15	108,187	54,525
ფინანსური შემოსავალი	12	(24,853)	(14,388)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		241,531	137,098
საბრუნავი კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება მარაგებში		(511)	28
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(66,432)	(3,542)
ცვლილება სხვა აქტივებში		(225)	1,114
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში, წმინდა		(13,501)	4,320
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(8,288)	(16,236)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		1,391	(26,297)
		153,965	96,485
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		153,965	96,485
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები	9,16	(41,237)	(36,501)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		(615)	(411)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		3,197	3,441
ამონაგები გაცემული სესხებიდან	12	602	16,249
გაცემული სესხები	12	(75,351)	(103,300)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(113,404)	(120,522)
საფინანსო საქმიანობა			
ამონაგები სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან	15	522,061	379,026
სესხების და ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(500,558)	(362,351)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	10	(3,404)	(4,611)
გადახდილი პროცენტი	10,15	(49,645)	(49,142)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(31,546)	(37,078)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		9,015	(61,115)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს წმინდა საკურსო სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	13	16,938	78,984
		(2,119)	(931)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	23,834	16,938

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები განხილულია 21-ე შენიშვნაში.

9-55 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. #24.

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), რომელსაც აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“). ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის იმპორტი და საქართველოს რეგიონებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით გაყიდვა. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურის შესახებ მოცემულია 3.2 შენიშვნაში. ინფორმაცია ჯგუფის სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 552,766 ლარით აღემატება (2021 წლის 31 დეკემბერს: 608,498 ლარი). ეს მოვლენა მიანიშნებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი წარმოშვას იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჯგუფი თავისი საწარმოო სიმძლავრის გაზრდის პროცესშია და ამის გამო მნიშვნელოვან კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებს გასწევს. 2008 წელს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის შესყიდვის შემდეგ ჯგუფმა კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო, რისი მიზანიც გამანაწილებელი ქსელების გაფართოება და ქსელთან ახალი აბონენტების მიერთება იყო. 2008 წლიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაზიფიცირების ქსელის განვითარებაში განხორციელდა 751,253-ზე მეტი ლარის ინვესტირება და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბუნებრივი გაზის მომხმარებლების რაოდენობამ 500,000-ს გადააჭარბა.

თავისი კაპიტალის და საოპერაციო საჭიროებები ჯგუფმა დააფინანსა პარტნიორის დახმარებით კაპიტალისა და სესხების ფორმით, ასევე საბოლოო მშობელი საწარმოსა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული მომწოდებლის კრედიტით და ადგილობრივი ბანკებისგან აღებული სესხებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ჯგუფმა დაფინანსების დიდი ნაწილი მოიპოვა საბოლოო მშობელი საწარმოსგან მომწოდებლის კრედიტის სახით, რომელიც მიმართა კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საბოლოო მშობელ საწარმოს აქვს სურვილი და შესწევს უნარი, განაგრძოს ჯგუფის მხარდაჭერა, რაც დასტურდება მფლობელის ბოლოდროინდელი ქმედებებით და ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრებით და მოლაპარაკებებით.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს დასჭირდება დაახლოებით 302,000 ლარის ოდენობის დამატებითი დაფინანსება 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 8 მაისამდე. ეს დანაკლისი არ მოიცავს საბოლოო მშობელი საწარმოს მიმართ არსებული ვალდებულებების შემდგომ შემცირებას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ საბოლოო მშობელი საწარმო თანახმა იქნება განჭვრეტად მომავალში მომწოდებლის კრედიტის არსებულ დონეზე შენარჩუნებაზე.

აღნიშნული შეფასება იმ დაშვებასაც შეიცავს, რომ 2024 წლის 8 მაისამდე მიმდინარე ყველა სესხი დაიფარება, რადგან არ არსებობს საკრედიტო ვალდებულებები. ხელმძღვანელობა მოელის, რომ იმ სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დაფარვის ვადა 2024 წლის 8 მაისამდეა, რესტრუქტურიზდება ან გახანგრძლივდება. 2023 წელს, 8 მაისის ჩათვლით ჯგუფმა დაფარა 174,454 ლარის ოდენობით ვადამოსული სესხები და შეათანხმა/დააფინანსა სესხები ღირებულებით 86,403 ლარი.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის ეპიდემია პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19-ის პანდემიამ გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ნიშნები უჩვენა, და მრავალმა ქვეყანამ მოხსნა მგზავრობაზე შეზღუდვები, და გააუქმა მკაცრი იზოლაცია და საკარანტინო ღონისძიებები. საქართველოს მთავრობამ გაატარა კოვიდ-19-ის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. ჯგუფის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, კოვიდ-19-ის ვირუსს არსებითი ნეგატიური გავლენა არ ჰქონია მის ოპერაციებზე. წინა წლებთან შედარებით, შეზღუდვები აღმოიფხვრა, იმატა ვაქცინირებული ადამიანების რიცხვმა და პანდემიიდან გამოსვლა მთელს მსოფლიოში ფიქსირდება. საქართველოში დაფიქსირდა ტურიზმის და ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა გადალახავს პანდემიის ნეგატიურ ეფექტებს. 2023 წლის 5 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის გლობალური ჯანდაცვის საგანგებო ვითარება დასრულებულად გამოაცხადა.

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თავალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება მიმდინარე მოლოდინებს და პროგნოზებს. არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს ჯგუფის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნართან დაკავშირებით და, შესაბამისად, მან შესაძლოა ვერ შეძლოს მისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა საქმიანობის ნორმალურ პირობებში. ამ რისკებს და განუსაზღვრელობებს, რომელთა უმრავლესობა ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება, შესაძლოა ჰქონდეთ საანგარიშგებო თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან განსხვავებული შედეგები. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საფონდო ბირჟაზე არარეგისტრირებულ საწარმოში წილობრივი საინვესტიციო აქტივებისა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს ამგვარ კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი საწარმოს აქციონერებსა და არამაკონტროლებელი პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. შვილობილი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

შვილობილი საწარმოები	% სააქციო წილი		რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა
	2022	2021		
შპს „თელავგაზი“	100%	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
სს „წყალტუბო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხესტაფონი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიღნაღი გაზი“	91.88%	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხობი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო

სხვა წილობრივი ინვესტიციები

ჯგუფი ფლობს არასაკონტროლო წილს 4,98%-ის ოდენობით სს „საქორგაზში“ 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სს „საქორგაზის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის დისტრიბუცია მისი მილსადენი ქსელით და ბუნებრივი გაზის გაყიდვა კომპანიაზე. სს „საქორგაზის“ ამონაგების უმნიშვნელო ნაწილი მოდის სოციალურ და კომერციულ აბონენტებზე გაზის რეალიზაციიდან. სს „საქორგაზში“ წილობრივი ინვესტიცია სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ნულის ოდენობით განისაზღვრა 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიც არის წილობრივი ინვესტიცია საფონდო ბირჟაზე არარეგისტრირებულ საწარმოში სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი);
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ჯგუფმა განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურები, მაგალითად წილობრივი ინვესტიცია საფონდო ბირჟაზე არარეგისტრირებულ საწარმოში. ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობენ საფონდო ბირჟაზე არარეგისტრირებულ საწარმოში წილობრივი ინვესტიციის შეფასებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ჯგუფი არ ფლობს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მიმოქცევაშია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-11 და მე-18 შენიშვნებში.

(გ) უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი ყოველი წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტა ლარია, რადგან ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია და მისი შვილობილი საწარმოები ფუნქციონირებენ.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის საწარმოების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ-კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობაც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) საწყისი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- ▶ მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (წილობრივი ინსტრუმენტები)

საწყისი აღიარების შემდეგ, ჯგუფს შეუძლია შეარჩიოს მოახდინოს აქციონერულ კაპიტალში მისი ინვესტიციის გამოუთხოვადი კლასიფიცირება წილობრივ ინსტრუმენტებად, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ბასს (IAS) 32-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“) საფუძველზე და ისინი არ არის სავაჭროდ გამიზნული. კლასიფიკაცია განისაზღვრება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

შემოსულობები და ზარალი ამგვარ ფინანსურ აქტივებზე მოგებაში ან ზარალში არასოდეს ბრუნდება. დივიდენდები აღიარდება სხვა შემოსავლის სახით კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გადახდის უფლების დადგენისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი შემოსულობას იღებს ამგვარი ამონაგებიდან, ფინანსური აქტივის თვითღირებულების ნაწილის აღდგენის სახით, რა დროსაც ამგვარი შემოსულობები სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული წილობრივი ინსტრუმენტები გაუფასურების შეფასების საგანს არ წარმოადგენენ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოუთხოვადად მოეხდინა საფონდო ბირჟაზე არარეგისტრირებულ საწარმოში წილობრივი ინვესტიციის (გრძელვადიანი ფინანსური აქტივები) ამ კატეგორიად კლასიფიკაცია.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (მე-5 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა);
- ▶ გაცემული სესხები (მე-12 შენიშვნა).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ყველა სავალ ფინანსურ აქტივზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

გაცემული სესხებისთვის ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, ჯგუფი აფასებს მოსალოდნელი ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები. მშობელი საწარმოსგან აღებული სესხების შემთხვევაში სხვაობა მიღებულ თანხებსა და თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი, რაც წარმოადგენს მშობელი საწარმოს დამატებით ინვესტიციას ჯგუფში.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, საბანკო ოვერდრაფტების, საიჯარო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები და ნასესხები სახსრები

საწყისი აღიარების შემდეგ პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

საიჯარო ვალდებულება

საწყისი აღიარების შემდეგ, საიჯარო ვალდებულება (ა) იზრდება ფინანსური დანახარჯების ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება საწყისი საიჯარო ვალდებულების პერიოდულ საპროცენტო განაკვეთზე გამრავლებით და (ბ) მცირდება გადახდილი იჯარის თანხის ოდენობით.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა თავდებობის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება გარანტიის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. ამის შემდეგ ვალდებულება ფასდება (i) ზარალის რეზერვის თანხასა და (ii) შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) საფუძველზე აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით ან მშენებლობის თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები, დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელად, ჯგუფი მათ ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექტირება, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექმომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეულ შესაბამისად განაწილებულ პირდაპირ მიკუთვნებად ცვლად ხარჯებს და ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებს. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

(iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის თვითღირებულების აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ ნაწილის თანამდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯი აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(v) ცვეთა

ცვეთის აღიარება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების სავარაუდო საშუალო ვადებია:

მილსადენები	35-50 წელი
შენობები და ნაგებობები	7-25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-25 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	5-15 წელი
კომპიუტერები და აქსესუარები	5-15 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ვ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შეძენის თარიღისთვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დაანგარიშდება წრფივი მეთოდით 5-7-წლიანი საშუალო პერიოდისთვის. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

(ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს, ან ფაქტიური ერთეულის თვითღირებულებას და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოსვლა, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ამგვარი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც განაწილებულია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. გაუფასურების ზარალი კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი გაუქმების აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუქმება აღირიცხება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

(ი) ამონაგების აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი მარწმუნებელ თუ აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მოქმედებს მარწმუნებლის სახით ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(i) ბუნებრივი გაზის გაყიდვა

ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მომხმარებლებისთვის მისი მიწოდებისთანავე, რასაც მომხმარებლის მრიცხველის ჩვენება მოწმობს. ჯგუფი ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს ჯგუფის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი გაზი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, საანგარიშგებო ნებისმიერი თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

(ii) ქსელთან მიერთების საფასური

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ დადგენილი წესით, ჯგუფი გაზგამანაწილებელ ქსელთან მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების საფასური გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე ჯგუფის მიერ გაწეული საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და ამონაგებს აღიარებს ქსელთან მიერთების შემდეგ.

(iii) მომსახურებების გაწევა

ამონაგები, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე მათთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანასა და ჯგუფის ქსელთან მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება მიღებისთანავე (დროის განსაზღვრულ მომენტში).

(iv) საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების შემოსავლების მუხლში, მისი ოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე და ასევე შედის სხვა საოპერაციო ამონაგებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(v) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი ან მისაღები ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი შესულია ფინანსური შემოსავლის მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(vi) შემოსავალი სახელმწიფო გრანტებიდან

შემოსავალი სახელმწიფო გრანტებიდან განხილულია 3.3(ო) შენიშვნაში ქვემოთ.

სახელშეკრულებო ნაშთი

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ ჯგუფი მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენს ჯგუფის უფლებას მიიღოს უპირობო საზღაური (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს მომხმარებლისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ მომხმარებელი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება ამონაგებად მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების ნაწილში.

(iii) საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან ბანკში და სალაროში. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ნ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადას შორის უმოკლესის განმავლობაში 2-დან 6 წლამდე.

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკა თავში „არაფინანსური აქტივების გაუფასურება“.

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნაჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ჯგუფის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის (სანამ არ მოხდება მათი გაწევა მარაგების საწარმოებლად) სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშობა ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

(iii) მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების ონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე საოფისე აღჭურვილობის იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი, როგორც მთავარი

იჯარა, რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ო) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. როდესაც ჯგუფი იღებს არაფულადი აქტივების გრანტებს, აქტივი და გრანტი აღირიცხება მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანაბარი წლიური გადახდებით, საიჯარო აქტივიდან სარგებლის მოხმარების ტენდენციის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და განმარტებითი შენიშვნები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“;
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება;
- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება;
- ▶ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტი მოყვანილი საკომისიოები“;
- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად.
- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებაში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება, ამ ფაქტის გამჟღავნებამდე.
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- ▶ ბასს (IAS) 12-ის ცვლილება - „ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - 2021 წლის მაისში, საბჭომ გამოსცა ბასს (IAS) 12-ის ცვლილება, რომლითაც იზღუდება საწყისი აღიარების გამონაკლისის ფარგლები ბასს (IAS) 12-ის საფუძველზე, როცა ის აღარ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს.

ამ მომენტისთვის ჯგუფი აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის განსჯა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

(i) დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის რეალიზაციის აღიარება ხდება მომხმარებლების მიერ მრიცხველის მიხედვით გაზის მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ნებისმიერი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განსჯა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთების შედეგად წარმოქმნილი ამონაგები არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერთებისას.

(ii) იჯარა – განახლებადი საიჯარო ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა

ჯგუფი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას, ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც ხდება იჯარის გახანგრძლივება, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელია, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც შესაძლებელია იჯარის შეწყვეტა, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელი. ჯგუფის ყველა საიჯარო ხელშეკრულება, რომლებიც ძალაში იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოიცავს ავტომატურად განახლების პირობას, რა საფუძველზეც გარიგება გაგრძელდება მანამდე, სანამ ერთერთი მხარე არ შეწყვეტს იჯარას, საწყისი პერიოდიდან 1 წლის განმავლობაში. ავტომატურად განახლების შესაძლებლობის მქონე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი განსაზღვრავს განახლების პირობით პერიოდს 6 წლის ვადით, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელი. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან განსჯას. იხილეთ მე-10 შენიშვნა.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

ჯგუფმა აღიარა რეზერვები სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და გაცემულ სესხებზე და გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების პერსპექტიულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო. გაცემული სესხებისთვის ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან, ახდენს მათ დისკონტირებას შესაბამისი ინსტრუმენტების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს, როგორც სხვაობას სახელშეკრულებო და მოსალოდნელ დისკონტირებულ ფულად ნაკადებს შორის.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული სახსრებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში) ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო. ამგვარად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიუღებელი თანხების მოსალოდნელი რეზერვი 91,472 ლარის (2021 წ.: 45,300 ლარი) ოდენობით ფინანსური აქტივების გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-8 შენიშვნა, მე-11 შენიშვნა და მე-12 შენიშვნა).

(ii) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება

როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ შეფასდება აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასებით, მათი სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადის (DCF) მოდელში შესული შეფასების მეთოდით. ფულადი ნაკადები წარმოიქმნება წილობრივი ინვესტიციის მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან. სამართლიანი ღირებულების თანხა მგრძნობიარეა დისკონტირებული განაკვეთის მიმართ, ექსტრაპოლაციის მიზნით.

6. ამონაგები

	2022	2021
ბუნებრივი გაზი - საბითუმო რეალიზაცია	1,248,831	886,389
ბუნებრივი გაზი - კომუნალური მომსახურება	305,974	273,664
გაზიფიკაციის, დამონტაჟების და სარემონტო მომსახურება (ა)	24,259	30,474
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,579,064	1,190,527
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან (მე-16 შენიშვნა)	7,731	7,072
სხვა საოპერაციო ამონაგები	7,904	12,951
მთლიანი შემოსავალი	1,594,699	1,210,550

- (ა) ჯგუფი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უწევს გაზიფიკაციის, სამონტაჟო და სარემონტო მომსახურებას. ამ მომსახურებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება შესაბამისი სამუშაოების დასრულებისთანავე.

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	314,101	255,067
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,907	2,516

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები ლარშია გამოხატული. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ამონაგები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ზრდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უკავშირდება უფრო მეტი რაოდენობით კომერციული გაზის გაყიდვას უმსხვილეს არადაკავშირებულ კონტრაქტორზე სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 2022 წლის დეკემბერში 112,660 ლარის ოდენობით, 2021 წლის დეკემბერში 60,253 ლარის ღირებულების გაყიდულ რაოდენობასთან შედარებით.

2,516 ლარი რომელიც შესული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღიარებულია, როგორც 2022 წლის ამონაგები (2021 წ.: 28,813 ლარი).

7. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
გაზიფიკაციის, რემონტისა და ტექნოლოგიური დანახარჯები	12,815	20,165
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	7,773	7,370
ბუნებრივი გაზის სისტემის რეგულირების მოსაკრებელი	2,950	2,173
საწვავი	2,722	1,805
სხვა ჯარიმები და საურავები (ა)	2,678	931
ბანკის საკომისიო	2,123	1,906
საგადასახადო ჯარიმები და საურავები (ბ)	1,715	1,426
იჯარის ხარჯი (მე-10 შენიშვნა)	1,539	522
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	1,372	1,308
პროფესიული მომსახურება (გ)	1,235	1,291
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	923	985
ქველმოქმედება და სპონსორობაზე	502	555
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	413	268
სათადარიგო ნაწილების ჩამოწერა	219	366
დაზღვევა	150	98
სარეკლამო ხარჯები	49	44
სხვა	2,953	2,596
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	42,131	43,809

(ა) სხვა ჯარიმები მოიცავს ვადაგადაცილებული გადახდებისთვის რამდენიმე მომწოდებლის მიერ ჯგუფზე დაკისრებულ ჯარიმებს და საურავებს.

(ბ) საგადასახადო ჯარიმები და საურავები მოიცავს გარკვეული საგადასახადო ვალდებულებების დაგვიანებით გადახდის გამო დაკისრებულ ჯარიმებს.

(გ) ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება შედგება ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელოსგან 30 ლარის ოდენობით (2021 წ.: 31 ლარი), დღგ-ის გარეშე. სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 156 ლარს (2021 წ.: 156 ლარი), დღგ-ის გარეშე.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

8. შექმნილი ანარიცხები, წმინდა

	სავაჭრო მოთხოვნები	გაცემული სესხები	სხვა აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	12,500	–	470	12,970
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	14,433	31,281	–	45,714
ანარიცხის ჩამოწერა	(13,384)	–	–	(13,384)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	13,549	31,281	470	45,300
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	7,398	38,774	–	46,172
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	20,947	70,055	470	91,472

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მილსადენები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები და ავეჯი	კომპიუტერები და აქსესუარები	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
დანახარჯები								
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	2,554	846,842	4,523	5,937	4,907	6,862	4,504	876,129
შესყიდვები	–	568	–	100	3,693	252	51,984	56,597
გასვლები	–	(47)	–	(149)	(103)	(34)	(3,387)	(3,720)
გადატანები	–	51,107	159	–	–	–	(51,266)	–
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	2,554	898,470	4,682	5,888	8,497	7,080	1,835	929,006
შესყიდვები	–	–	–	1,212	1,979	432	32,039	35,662
გასვლები	(60)	(291)	(527)	(451)	(572)	(1,042)	(2,792)	(5,735)
გადატანები	–	24,790	598	–	–	–	(25,388)	–
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,494	922,969	4,753	6,649	9,904	6,470	5,694	958,933
ცვეთა								
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	–	(161,425)	(3,341)	(5,018)	(3,894)	(6,331)	–	(180,009)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(20,609)	(208)	(717)	(826)	(538)	–	(22,898)
გასვლები	–	12	–	113	82	33	–	240
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	–	(182,022)	(3,549)	(5,622)	(4,638)	(6,836)	–	(202,667)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(21,242)	(281)	(1,165)	(1,209)	(569)	–	(24,466)
გასვლები	–	198	519	450	568	1,017	–	2,752
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	–	(203,066)	(3,311)	(6,337)	(5,279)	(6,388)	–	(224,381)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება								
2021 წლის 31 დეკემბერს	2,554	716,448	1,133	266	3,859	244	1,835	726,339
2022 წლის 31 დეკემბერს	2,494	719,903	1,442	312	4,625	82	5,694	734,552

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მილსადენების ნაწილი დაგირავებული იყო ქართული ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-15 შენიშვნა).

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

10. იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს აქვს საოფისე შენობის, გაზისთვის საჭირო ქონებების და სხვა აქტივების იჯარის ხელშეკრულებები, 2-დან 6 წლამდე იჯარის ვადით. ჯგუფმა ისარგებლა გათავისუფლების უფლებით მოკლევადიანად და დაბალფასიანად კლასიფიცირებული იჯარებისთვის. ქვემოთ განსაზღვრულია აღიარებული აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება:

	შენობები და ნაგებობები	სხვა აქტივები	სულ
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,626	6,258	14,884
ცვეთის დანარიცხი	(2,841)	(1,555)	(4,396)
ხელშეკრულების მოდიფიცირება (ა)	–	(634)	(634)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,785	4,069	9,854
იჯარის ვადაზე ადრე შეწყვეტა (ა)	(333)	(3,794)	(4,127)
ცვეთის დანარიცხი	(2,841)	(275)	(3,116)
იჯარის ვადის ხელახლა შეფასება (ბ)	10,923	–	10,923
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,534	–	13,534

- (ა) ჯგუფს აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის რამდენიმე ხელშეკრულება. 2021 წლის განმავლობაში ეს ხელშეკრულებები შეიცვალა და მასში შემცირდა ყოველთვიური საფასური. შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები 2022 წელს შეწყდა.
- (ბ) შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებში განსაზღვრული იჯარის ვადაა 1 წელი ავტომატური განახლების შესაძლებლობით, თუ სხვა რამ არ იქნება ცნობილი ერთ-ერთი მხარის მიერ. 2022 წელს ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა იჯარის ვადების განსაზღვრაში გამოყენებული დაშვებები და დარწმუნდა, რომ აქტივები გამოიყენება საქმიანობაში მომდევნო 6 წლის განმავლობაში (მე-5 შენიშვნა).

ქვემოთ განსაზღვრულია აღიარებული საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

	2022	2021
1 იანვარს	10,489	16,573
იჯარის ვადაზე ადრე შეწყვეტა (ა)	(4,040)	–
გადახდილი ძირითადი თანხა	(3,404)	(4,611)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	596	1,216
გადახდილი პროცენტი	(596)	(1,216)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	–	(839)
მოდიფიცირება (საზღაურის დარიცხვა)	–	(634)
იჯარის ვადის ხელახლა შეფასება (ბ)	10,487	–
31 დეკემბერს	13,532	10,489
გრძელვადიანი წილი	11,834	6,337
მოკლევადიანი წილი	1,698	4,152

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. იჯარა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ქვემოთ ნაჩვენებია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ხარჯის ცვეთა	3,116	4,396
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	596	1,216
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	–	(839)
მოკლევადიან იჯარასთან, დაბალფასიან აქტივებთან და ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი (მე-7 შენიშვნა)	1,539	522
სულ მოგება-ზარალში აღიარებული თანხა	5,251	5,295

2022 წელს ფულადი სახსრების მთლიანი გასვლები იჯარებზე, მათ შორის მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო აქტივების ჩათვლით მოიცავს 5,539 ლარს (2021 წ.: 6,349 ლარი).

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

კომპანია იჯარით გასცემს მილსადენებს სს „საქორგაზზე“, რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოა. ხელშეკრულებას აქვს ავტომატური გაგრძელების პირობა, რომლის მიხედვითაც, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მინიმუმ 1 თვით ადრე, არც ერთი მხარე არ მოშლის ხელშეკრულებას, იგი გაგრძელდება ერთი წლის ვადით, რომელიც არის არაგაუქმებადი პერიოდი. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური მისაღები საიჯარო თანხები არაგაუქმებად საოპერაციო იჯარებზე მოიცავდა 7,177 ლარსა და 4,987 ლარს, შესაბამისად.

11. სავაჭრო მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (საბითუმო რეალიზაცია)	231,088	186,780
სავაჭრო მოთხოვნები ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (კომუნალური მომსახურება)	92,543	67,979
სავაჭრო მოთხოვნები ტექნიკური სამუშაოდან და სხვა მომსახურებებიდან	5,049	5,399
სავაჭრო მოთხოვნები გაზიფიკაციის მომსახურებიდან	6,368	8,458
გამოკლებული: რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	(20,947)	(13,549)
	314,101	255,067

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი იყო შემდეგი:

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

11. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.52%	0.87%	0.81%	93.86%	6.25%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	289,516	12,299	12,754	20,479	335,048
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,515)	(107)	(103)	(19,222)	(20,947)
2021 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.53%	1.23%	1.94%	59.23%	5.04%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	225,233	14,643	8,451	20,289	268,616
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,188)	(180)	(164)	(12,017)	(13,549)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი შედგება დავალიანებისგან შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ მიმართ (მთლიანი თანხა 1,257 ლარი). ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მოთხოვნების ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკი, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო ორივე მხარის მიერ დამტკიცებული დაფარვის გრაფიკი. ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2023 წლის 31 მაისისა.

12. გაცემული სესხები

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით გაცემული სესხი	133,667	82,506
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმზე“ გაცემული სესხი	75,330	103,300
მესამე მხარეებზე გაცემული სესხი	21	
გადახდილი ძირითადი თანხა	(602)	(16,249)
ფინანსური შემოსავალი	24,853	13,019
სესხის საწყისი აღიარებიდან მიღებული ზარალი (ა)	(19,352)	(18,997)
მიღებული პროცენტის ჩამოწერასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი (ბ)	(31,490)	–
ფინანსური აქტივის გაუფასურება (გ)	(38,774)	(31,281)
სესხის მოდიფიცირებაზე აღიარებული ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი (ბ)	(20,880)	1,369
31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხი	122,773	133,667
გრძელვადიანი წილი	122,752	133,667
მოკლევადიანი წილი	21	–

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

- (ა) 2022 წელს ჯგუფმა ის დაკავშირებულ მხარეზე - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმზე“ გასცა დამატებითი სესხი 75,330 ლარის ოდენობით, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით 9% და დაფარვის ვადით 2029 წლის 31 დეკემბერს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი გაცემისას 13,8% იყო. სხვაობამ აღიარებისას სესხის სამართლიან ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის 19,352 ლარი (2021 წ.: 18,997 ლარი) შეადგინა და სესხად აღიარდა ახალი სესხის საწყისი აღიარებისას ფინანსური დანახარჯების ფარგლებში.
- (ბ) 2022 წლის 31 დეკემბერს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ყველა დარიცხული საპროცენტო მოთხოვნა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩამოიწერა და აღიარდა შესაბამისი ფინანსური დანახარჯი 31,490 ლარის ოდენობით. დარჩენილი ძირითადი თანხისთვის შედგა ახალი დაფარვის გრაფიკი. სესხის გრაფიკი განისაზღვრა 2024-2029 წლებში დაფარვით ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრული გადახდებით. ერთ-ერთი ტრანშისთვის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებამ გამოიწვია 10%-ზე მეტი სხვაობა მოდიფიცირებულ ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებულ თანხასა (11,6%) შორის და ამ ტრანშის საბალანსო ღირებულება და მოდიფიცირება არსებითად განისაზღვრა. ტრანშის აღიარება შეწყდა და თავდაპირველად აღიარდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 14,1%-ის ოდენობით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებამ გამოიწვია მოდიფიცირების მთლიანი ზარალი 20,880 ლარის ოდენობით (2021 წ.: შემოსულობა 1,369 ლარის ოდენობით).
- (გ) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ამ ფინანსური აქტივის ანაზღაურებადობა და შედეგად აღიარა გაუფასურება 38,774 ლარის ოდენობით (2021 წ.: 31,281 ლარი).

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	23,826	16,929
ნაღდი ფული	8	9
	23,834	16,938

ფულადი სახსრები ინახება წამყვან ქართულ ბანკებში. ფულადი სახსრების ანგარიშებზე ირიცხება პროცენტი, რომელიც უმნიშვნელო ღირებულების არის.

14. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 147,294 ლარს შეადგენს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წ.: 147,294 ლარი).

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოდგენილია მშობელი საწარმოს მიერ საწესდებო კაპიტალში დამატებით განხორციელებული შენატანებით და მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხის ტრანშების სამართლიან ღირებულებასა და თავდაპირველად აღიარებისას არსებულ ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობით.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

15. სესხები და ნასესხები სახსრები

	ვალუტა ლარი/აშშ დოლარი	სახელშეკრულებო დაფარვის ვადა 2023-2024	2022	2021
სესხები ადგილობრივი ბანკებისგან (ა)			399,818	391,685
			399,818	391,685
გრძელვადიანი წილი			12,027	36,183
მოკლევადიანი წილი			387,791	355,502

(ა) ადგილობრივი ბანკებისგან მიღებული სესხები

ადგილობრივ ბანკებთან გაფორმებული ყველა სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ადგილობრივი ბანკებისგან აღებული ყველა სესხის პირობები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ყველა დარღვევაზე აქვს მიღებული მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები, რითაც ბანკები თმობენ სესხის პირობების დარღვევის გამო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლებას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის ამ სესხებიდან რომელიმეს დაფარვას მათი სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე.

(ბ) ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი	–	225
სხვა სესხებზე და ნასესხებ სახსრებზე გაწეული საპროცენტო ხარჯი	48,661	47,964
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური ხარჯი (მე-16 შენიშვნა)	6,560	5,120
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	596	1,216
მისაღები პროცენტის ჩამოწერასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	31,490	–
სესხის მოდიფიცირებისას აღიარებული ფინანსური ხარჯი	20,880	–
	108,187	54,525

(გ) ცვლილება სესხებში და ნასესხებ სახსრებში

	2022	2021
1 იანვარს	391,685	379,996
მიღებული ძირითადი თანხა	522,061	379,026
გადახდილი ძირითადი თანხა	(500,558)	(362,351)
დარიცხული პროცენტი	48,661	48,189
გადახდილი პროცენტი	(49,049)	(47,926)
საკუროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	(12,982)	(5,249)
31 დეკემბერს	399,818	391,685

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

16. სახელმწიფო გრანტი და ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება

სახელმწიფო გრანტები	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	76,032	67,993
წლის განმავლობაში მიღებული (ა)	–	15,111
აღიარებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(7,731)	(7,072)
31 დეკემბერს	68,301	76,032
მოკლევადიანი წილი	7,682	7,493
გრძელვადიანი წილი	60,619	68,539

გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	55,182	50,752
შესყიდვები წლის განმავლობაში (ა)	–	6,268
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური ხარჯი	6,560	5,120
მოკლევადიანად რეკლასიფიცირებული	(6,685)	(6,958)
31 დეკემბერს	55,057	55,182

(ა) 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გააფორმა სამი ხელშეკრულება „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ მილსადენის ქსელის ნასყიდობაზე ღირებულებით 21,379 ლარი, რომელიც მთავრობამ ააშენა და გადასცა ჯგუფს. სხვაობა ვალდებულების სამართლიან ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის 15,111 ლარის ოდენობით აღიარდა სახელმწიფო გრანტის სახით. ხსენებული ვალდებულების სამართლიანი ღირებულება - 6,268 ლარი, რომელიც დაანგარიშდა აღიარებისას საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების სახით, აღრიცხულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან. გრძელვადიანი ვალდებულების მთლიანი ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უკავშირდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფს არ გაუფორმებია ახალი ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2022	2021
ბუნებრივი გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ა)	448,509	458,145
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულება (ბ)	21,199	20,089
სხვა ვალდებულება	6,759	5,411
	476,467	483,645

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულება (გაგრძელება)

(ა) ბუნებრივი გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

გაზის შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულების სახელშეკრულებო პირობები:

- ▶ ვალდებულებები უპროცენტოა და მისი დაფარვის ვადა, ჩვეულებრივ, 45 დღეში დგება;
- ▶ ვალდებულებები ძირითადად ლარსა და აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ ვალდებულებები ძირითადად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებობს. ამ ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ვადაგადაცილებულია. სავაჭრო ანგარიშების ვადაგადაცილების დაშვება საბოლოო მშობელი საწარმის მიერ ჯგუფის დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმია.

(ბ) ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულება

ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად გაზიფიკაციის პროექტებს უკავშირდება. ეს თანხა მოიცავს ფაქტორინგულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, 2022 წლის მდგომარეობით 3,919 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერს: 0 ლარი) ჯგუფის ვალდებულებებიდან. მილსადენის სამშენებლო სამუშაოები „თიბისი ბანკის“ სესხით დაფინანსდა. „თიბისი ბანკის“ მიმართ მართებული თანხები უნდა დაიფაროს 2023 წლის 27 მაისს. კომპანიას არ გაუწევია საპროცენტო ხარჯი ამ ფაქტორინგულ საკრედიტო ხაზზე 2022 წელს.

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისგან და ნასესხები სახსრებისგან, საიჯარო ვალდებულებისგან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებისგან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო მოთხოვნებს, წილობრივ ინსტრუმენტს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები. ჯგუფი არის საბოლოო მშობელი საწარმოს მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება მშობელი საწარმოსა და საბოლოო მშობელი საწარმოს დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი შედგება იმ აბონენტებისგან მისაღები თანხებისგან, რომლებსაც ჯგუფი ბუნებრივ გაზს აწვდის და იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის გაწეული გაზიფიკაციის მომსახურებით წარმოქმნილი მოთხოვნებისგან. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის მართვა უფრო დაწვრილებით არის განხილული მე-11 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. სესხები გაცემულია მხოლოდ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე, „სოკარის“ ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის უფრო დიდი პროცესისთვის.

31 დეკემბრის მდგომარეობით მაქსიმალური საკრედიტო რისკის ზომა საანგარიშგებო თარიღში იყო:

	საბალანსო ღირებულება	
	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა)	314,101	255,067
გაცემული სესხები (მე-12 შენიშვნა)	122,773	133,667
სხვა აქტივები	550	325
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (მე-13 შენიშვნა)	23,826	16,929
	461,250	405,988

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, შესაბამისად ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ჯგუფს ანიჭებს შესაბამის მოქნილობას გადახდების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად მომავალში. მე-2 შენიშვნაში განხილულია ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებასთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, პროცენტის მოსალოდნელი გადახდების ჩათვლით. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	1 წელზე მეტი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა)	399,818	420,372	408,067	12,305	–
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	13,532	19,240	3,207	12,826	3,207
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	476,467	476,467	476,467	–	–
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან (მე-16 შენიშვნა)	55,057	130,870	–	23,111	107,759
გაცემული გარანტიები (მე-19 შენიშვნა)	–	40,647	32,419	8,228	–
	944,874	1,087,596	920,160	56,470	110,966

2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	1 წელზე მეტი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა)	391,685	414,474	374,459	40,015	–
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	10,489	12,292	4,815	7,477	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	483,645	483,645	483,645	–	–
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან (მე-16 შენიშვნა)	55,182	138,558	–	30,799	107,759
გაცემული გარანტიები (მე-19 შენიშვნა)	–	38,146	38,146	–	–
	941,001	1,087,115	901,065	78,291	107,759

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ყველა სესხსა და ნასესხებ სახსრებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, არის სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო ვალდებულებები და მიმდინარე ანგარიშები ბანკებში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ეხება პოზიციას 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს. ჯგუფი არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

სავალუტო რისკის მოცულობა

ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთი იყო:

	აშშ დოლარში გამოხატული		ევროში გამოხატული	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16,104	8,039	13	3,154
სესხები და ნასესხები სახსრები	(91,518)	(101,693)	–	–
სავაჭრო ვალდებულება	(210,628)	(347,178)	(23)	(411)
საიჯარო ვალდებულება	(474)	(227)	–	(4,473)
წმინდა რისკის ზომა	(286,516)	(441,059)	(10)	(1,730)

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვედა ცხრილებში ასახულია მგრძნობელობა აშშ დოლარისა და ევროს სავალუტო კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე) გავლენას ახდენს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება. ჯგუფის ყველა დანარჩენ ვალუტასთან დაკავშირებული რისკები არ არის არსებითი.

	გამყარება	გაუფასურება
2022 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (19%/-19% მოძრაობა)	(54,209)	54,209
ევრო (23%/-23% მოძრაობა)	(2)	2
2021 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (14%/-6% მოძრაობა)	(61,748)	26,464
ევრო (15%/-7% მოძრაობა)	(260)	121

(დ) სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ მიახლოებითი თანხის დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

		საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება	
		2022	2021	2022	2021
ფინანსური აქტივები	დონე				
სავაჭრო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა)	მე-3 დონე	314,101	255,067	314,101	255,067
გაცემული სესხები (მე-12 შენიშვნა)	მე-3 დონე	122,773	133,667	121,927	125,910
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-13 შენიშვნა)	1-ლი დონე	23,834	16,938	23,834	16,938
სულ ფინანსური აქტივები		460,708	405,672	459,862	397,915
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-15 შენიშვნა)	მე-3 დონე	(399,818)	(391,685)	(405,702)	(394,711)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	მე-3 დონე	(476,467)	(483,645)	(476,467)	(483,645)
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	მე-3 დონე	(13,532)	(10,489)	(13,369)	(10,900)
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შემენიდან	მე-3 დონე	(55,057)	(55,182)	(45,961)	(48,736)
სულ ფინანსური ვალდებულებები		(944,874)	(941,001)	(941,499)	(937,992)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო;
- ▶ ნასესხები სახსრების, გაცემული სესხების, საიჯარო ვალდებულებების და ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან მიღებული გრძელვადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების სახით, საანგარიშგებო თარიღში მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით.

(ე) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. პირობითი ვალდებულებები

(ა) სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს დარიცხული ანარიცხები, რომლებიც დაფუძნებულია ხელმძღვანელობის შეძლებისდაგვარად ზუსტ შეფასებებზე. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ გარიგებებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობების ინტერპრეტაციები და ჯგუფის საქმიანობები შეიძლება ექვემდებარებოდეს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, ჯგუფი ქმნის შესაბამის ანარიცხებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, საგადასახადო რისკი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ანარიცხების შექმნისთვის საჭირო კრიტერიუმებს, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

(ბ) გაცემული გარანტიები

2022 და 2021 წლებში ჯგუფმა გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულებები მისი კონტრაქტორის და დაკავშირებული მხარეების სასარგებლოდ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ გარანტიაზე რეზერვის შექმნა არ არის სავალდებულო, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობის დეფოლტის რისკი უმნიშვნელოა.

ღია საგარანტიო ხელშეკრულებები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის:

ვალდებულება	ვადაიანობა	2022	2021
დაკავშირებული მხარეები			
სს „საქორგაზი“	2023 წლის 27 მარტი	22,799	–
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	2022 წლის 15 თებერვალი	–	26,636
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	2024 წლის 15 ნოემბერი	8,228	11,711
არადაკავშირებული მხარეები			
შპს „კონფიდენს გრუპი“	2023 წლის 15 თებერვალი	9,620	11,510

ჯგუფს ფულადი სახსრების გასვლა გაცემული გარანტიებიდან არ ჰქონია 2022 და 2021 წლებში.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

(ა) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2022 და 2021 წლებში ერთი პირისგან შედგებოდა. 2022 წელს მის მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 571 ლარს შეადგენდა (2021 წ.: 564 ლარი) და მოიცავდა ხელფასებსა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებს.

(ბ) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

	2022	2021	ვალდებულებები მიმართ / (- გან)	
			2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გაყიდვები				
შპს „სოკარის გაზის ექსპორტ-იმპორტი“	29,975	166,979	21,386	48,204
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“	59,899	38,830	–	2,628
სს „საქორგაზი“	17,440	17,349	1,665	3,574
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	9,262	5,137	1,879	2,145
	116,576	228,295	24,930	56,551
ბუნებრივი გაზის და სხვა საქონლის შესყიდვა				
მშობელი საწარმო	297	298	(29)	(29)
„სოკარ გაზის“ საოპერაციო განყოფილება	780,180	573,032	(210,616)	(347,168)
შპს „სოკარის გაზის ექსპორტ-იმპორტი“	103,277	87,754	(66,438)	(58,241)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“	1,206	1,119	(753)	(283)
სს „საქორგაზი“	111,043	105,292	(38,254)	(18,302)
„სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში“	–	–	–	(251)
შპს „სოკარ ჯორჯია სიქიურითი“	83	83	–	(8)
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	2,455	1,538	(510)	(380)
	998,541	769,116	(316,600)	(424,662)
იჯარა (საფინანსო ხარჯები და საიჯარო ვალდებულება)				
„სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში“	366	591	(10,706)	(4,585)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“	60	97	(1,763)	(755)
სს „საქორგაზი“	56	92	(445)	(711)
	482	780	(12,914)	(6,051)

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია (გაგრძელება)

(გ) სესხები

	საპროცენტო ხარჯი 2022	საპროცენტო ხარჯი 2021	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2022 წლის 31 დეკემბერს	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2021 წლის 31 დეკემბერს
			მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2022 წლის 31 დეკემბერს	მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2021 წლის 31 დეკემბერს
მიღებული სესხები				
მშობელი საწარმო (15 შენიშვნა)	–	225	–	–
	–	225	–	–
გაცემული სესხები				
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (მე-12 შენიშვნა)	24,853	14,388	122,754	133,667
	24,853	14,388	122,754	133,667
გაცემული სესხები				
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (მე-12 შენიშვნა)	52,370	–	19,352	18,997
	52,370	–	19,352	18,997

როგორც მე-18 შენიშვნაში განიმარტა, ჯგუფის ფინანსური რისკები მშობელი საწარმოსა და საბოლოო მშობელი საწარმოს დონეზე იმართება. სესხები და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის გაიცემა მშობელი საწარმოსა და საბოლოო მშობელი საწარმოს გადაწყვეტილებით ფულადი სახსრების და ლიკვიდობის მართვის თაობაზე. გაცემული სესხები ხშირად ურთიერთგაიქვითება, გარდაიქმნება საკუთარ კაპიტალად ან დაიფარება სხვა საშუალებით, რაც არ გულისხმობს ფულის ფაქტობრივ გადახდას.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. არაფულადი ოპერაციები

31 დეკემბრით დასრულებული წლების საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობა, რომლისთვისაც საჭირო არ გამხდარა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება იყო:

	2022	2021
მოძრაობა გადავადებული გადახდის პირობით შესყიდულ ძირითად საშუალებებში	2,447	(1,283)
მთავრობისგან გრძელვადიანი გადავადებული გადახდის პირობებით შესყიდული ძირითადი საშუალებები	–	21,379

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის თებერვალში აზერ მამედოვმა, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ყოფილმა დირექტორმა დატოვა ჯგუფი და დირექტორის თანამდებობა დაიკავა მარიამ ვალიშვილმა. მარიამ ვალიშვილი 2017 წლიდან მუშაობდა შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ გენერალური დირექტორის მრჩეველად სტრატეგიულ საკითხებზე.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
3. ორგანიზაციული სტრუქტურა	4
4. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი	5
5. 2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები	6
6. ჯგუფის განვითარების გეგმები	6
7. ინვესტიციები ბუნებრივი გაზის განაწილების სფეროში	7
8. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები	8
9. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა	11
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	13
11. ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები	13
12. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	15
13. მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა	18

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 8 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2023 წლის 26 სექტემბერი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 8 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2023 წლის 26 სექტემბერი

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (შემდგომში „კომპანია“) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 6 აგვისტოს (ს/ნ 202403121) და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. 24.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს (შემდგომში „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანიები	% სააქციო წილი		რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა
	2022	2021		
შპს „თელავგაზი“	100%	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
სს „წყალტუბო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხესტაფონი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიღნაღი გაზი“	91.88%	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხობი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე, ასევე გაზის განაწილება საქართველოს რეგიონებში თავის სალიცენზიო არეალში.

კომპანიის აქციების 100% წილის მფლობელია შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ საქართველოში 2007 წლიდან ოპერირებს და ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის გაზის უსაფრთხო და უწყვეტ მიწოდებას, აბონენტთა გაზიფიცირებას, ასევე ახორციელებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელების მშენებლობას, რეაბილიტაციას და ექსპლუატაციას.

2010 წლიდან შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" ფლობს ხარისხის მართვის სერტიფიკატს ISO 9001:2008, 2016 წელს კი კომპანიამ გაიარა რესერტიფიკაცია ახალი სტანდარტით და შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" გახდა პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც მიიღო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9001:2015.

2022 წელს შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ საკუთარ ქსელზე მიაერთა დაახლოებით 19,078 ახალი აბონენტი, წლის ბოლოსთვის კი აბონენტების ჯამურმა რაოდენობამ 521,000 -ს მიაღწია.

2. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

დღეისათვის, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ კომპანიების მომხმარებლებს ემსახურება 43 სერვისცენტრი 5 რეგიონში საქართველოს მასშტაბით.

კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს, შპს „სოკარ ჯორჯია გაზში“ შეიქმნა ქოლ-ცენტრი, რომელიც ასევე ემსახურება სს „საქორგაზის“ ქსელის აბონენტებსაც. ცენტრი მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, იღებს ზარებს საქართველოს ყველა რეგიონიდან სხვადასხვა ტექნიკურ და კომერციულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ქოლ-ცენტრის ოპერატორები რეგულარულად ურეკავენ ახალ აბონენტებს და ატარებენ კლიენტთა კმაყოფილების კვლევას. მომავალში იგეგმება კლიენტთა მომსახურების მეთოდოლოგიის დახვეწა და გაფართოება. 2015 წლიდან, სატელეფონო მომსახურების გარდა, კომპანიამ დაიწყო კლიენტთა მომსახურება ელექტრონული ფოსტით და სოციალური მედიის საშუალებით.

3. ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფის ინსტიტუციური და სტრუქტურული ფორმები იცვლებოდა ჯგუფის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საჭიროების მიხედვით, 2010 წლის ბოლომდე ჯგუფი იყო დეცენტრალიზებული სტრუქტურით წარმოდგენილი.

ჯგუფის ცენტრალიზება მოხდა 2014 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც 6 რეგიონალური კომპანია შერწყმის შედეგად გაერთიანდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ქვეშ. ამჟამად, ეს 6 რეგიონალური კომპანია წარმოადგენს რეგიონალურ ოფისებს.

ჯგუფის ახალმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ გააუმჯობესა ჯგუფის კომერციული და ფინანსური მდგომარეობა. შეიქმნა მარკეტინგის სამსახური, აბონენტებთან ურთიერთობის სამსახური, რაც ამარტივებს კლიენტებთან ურთიერთობას და ზრდის მათ კმაყოფილებას.

4. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტების ანალიზი

შენიშვნა: ამ ქვეთავში წარმოდგენილი მონაცემები სრულად ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში სემეკის) 2022 წლის ანგარიშს.

2022 წელს, ბუნებრივი გაზი, 2021 წლის მსგავსად, კვლავ რჩება ენერგიაზე საბოლოო მოთხოვნის დაკმაყოფილების უმთავრეს წყაროდ. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის თანახმად, ენერგიის ჯამურ მოხმარებაში ბუნებრივი გაზის წილმა 39% შეადგინა.

2022 წელს საქართველოს ბუნებრივ გაზზე მოთხოვნამ 2 988 მლნ კუბ.მ შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 20 პროცენტული პუნქტით მეტია. საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის ბუნებრივი გაზის მოხმარებამ 2022 წელს 1,335 მლნ კუბ.მ შეადგინა, არასაყოფაცხოვრებო მიზნებისთვის მოხმარებამ კი – 1,663 მლნ. კუბ.მ. 2022 წლის ბოლოს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე არსებული აბონენტების საერთო რაოდენობამ 1,488,014 შეადგინა, საიდანაც დაახლოებით 521,000 აბონენტი შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ ეკუთვნის.

ბუნებრივ გაზზე საქართველოს მოთხოვნის 99.5% დაკმაყოფილდა იმპორტით, ხოლო დარჩენილი 0.5% - ადგილობრივი მოპოვებით. საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების უმთავრეს წყაროდ კვლავ რჩება აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

ბუნებრივი გაზის ბაზარი მოიცავს ბუნებრივი გაზის საცალო და საბითუმო ბაზრებს. საქართველოში არ არსებობს ბუნებრივი გაზის ორგანიზებული ბაზარი, რის გამოც ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა საბითუმო ბაზარზე ხდება მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. მიმწოდებლები ახორციელებენ ბუნებრივი გაზის იმპორტს (ან მცირე ოდენობით მოპოვებული ბუნებრივი გაზის შესყიდვას) და მის გადაყიდვას სხვა მიმწოდებლებზე, ხოლო საცალო დონეზე მიმწოდებლები უშუალოდ აწვდიან საბოლოო მომხმარებლებს. აღნიშნული არ გამორიცხავს ერთი მიმწოდებლის აქტივობას ბაზრის ორივე დონეზე.

როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა კვლავ „სოკართან“ დაკავშირებულ კომპანიებს აქვთ.

საბოლოო მომხმარებლებთან ბუნებრივი გაზის ფიზიკურად მიტანას უზრუნველყოფენ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიატები.

კონკურენცია ბაზარზე და შესვლის ბარიერები

ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობა წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიას და სრულად ექვემდებარება კომისიის სატარიფო და სალიცენზიო რეგულირებას. მარეგულირებელი ორგანო (სემეკი) გასცემს შესაბამის ლიცენზიას. ლიცენზია გაიცემა უვადოდ, მის მოსაპოვებლად კომპანია ვალდებულია აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს. კერძოდ,

ლიცენზიის მისაღებად მაძიებელმა კომისიაში უნდა წარადგინოს სალიცენზიო განაცხადი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლითა და კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული ლიცენზირების წესების მე-5 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია:

- წარმოების საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- წარმოების საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ძირითად საშუალებათა ჩამონათვალი და საწარმოს შეფასების (აუდიტის) დასკვნა.
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
- საქართველოს ელექტრულ ან ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა.
- მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი ბუნებრივი გაზის ქსელის სქემა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ოპერირებდა 20 განაწილების ლიცენზიატი. მათ შორის სამი მსხვილი ლიცენზიატია (შპს „თბილისი-ენერჯი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „საქორგაზი“), რომლებმაც გაანაწილეს მთლიანი განაწილებული გაზის 90%;

2022 წელს ბუნებრივი გაზის ბაზარზე საქმიანობას ახორციელებდა 28 მიმწოდებელი; საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომი ბუნებრივი გაზით საბითუმო დონეზე ვაჭრობა განახორციელა ათმა მიმწოდებელმა, რომელთა შორის სამი უმსხვილესი მიმწოდებლის წილი 95%-ს შეადგენდა;

5. 2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

ტარიფის ცვლილება

2022 წელს შპს „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“ მოხმარების ტარიფი არ შეცვლილა და 2021 წლის მსგავსად შეადგენდა 56.928 თეთრი/მ-ს.

6. ჯგუფის განვითარების გეგმები

2008 წლიდან ჯგუფი ორიენტირებული იყო სახელმწიფოს მიმართ საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებაზე, ეს ვალდებულება კომპანიამ 2017 წელს შეასრულა და ამის

შემდეგ ძირითადი სტრატეგია მიმართულია ევრო-ასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულებისკენ და სამოქმედო გეგმა გაწერილია მათი დირექტივების შესაბამისად.

ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირის და ევროპარლამენტის 2009 წლის გადაწყვეტილების „გაზის მიწოდების საერთო პრინციპების“ დანერგვის შესახებ პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება, რომელსაც ეწოდება „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“. კერძოდ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით საქართველომ აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას.


7. ინვესტიციები ბუნებრივი გაზის განაწილების სფეროში

სემეკის წლიური ანგარიშის მიხედვით, 2022 წლისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორში დაგეგმილი ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 79,624,000 ლარს. მათ შორის, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ დაგეგმილი ინვესტიცია – 16,489,000 ლარს, სს „საქორგაზის“ – 39,918,000 ლარს, ხოლო შპს „თბილისი ენერჯის“ – 23,217,000 ლარს. ამავე წელს ფაქტობრივად განხორციელდა ჯამში 93,719,000 ლარის ინვესტიცია, მათ შორის 77,521,000 ლარის – საკუთარი სახსრებით, ხოლო 16,198,000 ლარის – მესამე პირების (მომხმარებლების) დაფინანსებით.

ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობაში 2022 წელს ფაქტობრივ ინვესტიციებში 30.69%-ის ოდენობით განხორციელდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ, რაც შეადგენს 28,767,000 ლარს. მათ შორის, საანგარიშო წელს საკუთარი სახსრებით შეიქმნა და ექსპლუატაციაში შევიდა 27.5 კმ გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს 185 ახალი პოტენციური აბონენტის გაზიფიცირებას. ასევე განხორციელდა 37 კმ სიგრძის არსებული გაზგამანაწილებელი ქსელების ძირეული რეაბილიტაცია. ამავე წელს საწარმომ სახელმწიფოსგან შეისყიდა 2,430,000 ლარის ღირებულების გაზსადენები. ამასთან, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთდა 19,078 ახალი აბონენტი და ამასთან დაკავშირებით აშენდა 169.8 კმ გაზგამანაწილებელი ქსელი. სს „საქორგაზის“ მიერ 2022 წელს საკუთარი სახსრებით განხორციელდა ჯამში 30,954,000 ლარის ინვესტიცია (33.028%), კერძოდ, საწარმოს მიერ საანგარიშო წელს სხვადასხვა რეგიონში შესრულდა 206 კმ არსებული ქსელების რეაბილიტაცია, ასევე ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთდა 5,847 ახალი აბონენტი და ამასთან დაკავშირებით აშენდა 70.7 კმ გაზგამანაწილებელი ქსელი.

2022 წელს ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორში განხორციელებული ინვესტიციები გრაფიკულად ასე გამოიყურება:

**ინვესტიცია ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორში
(ათასი ლარი)**




8. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 1,594,699,000 ლარი, რაც 32%-ით მეტია წინა წლის იმავე მაჩვენებელზე. წმინდა მოგება იყო 83,983,000 ლარი, რაც გამოწვეულია ძირითადად ლარის კურსის გამყარებით. აქტივების ჯამური ღირებულება 2022 წლის ბოლოს შეადგენდა 1,214,097,000 ლარს, რაც 6%-ით მეტია 2021 წლის ბოლოს იმავე მაჩვენებელზე. ჯგუფის მთლიანი აქტივების 61%-ს წარმოადგენს გაზსადენები და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა საშუალებითაც კომპანია ახორციელებს თავის ძირითად საქმიანობას. აქტივების 26%-ს შეადგენს სავაჭრო მოთხოვნები. ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება 147,294,000 ლარის სააქციო კაპიტალისგან და 34,967,000 ლარის დამატებითი კაპიტალისგან. 2022 წელს ჯგუფის მიერ იმპორტირებულია 1,411,751 მლნ. კუბ. მ. ბუნებრივი გაზი.

ჯგუფის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი გადასახადების გადამხდელია. დაარსებიდან 2022 წლის ჩათვლით კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები გრაფიკულად ასე გამოიყურება:

წელი	ბიუჯეტში გადახდილი თანხა
2008	904,835
2009	2,948,889
2010	430,844
2011	13,041,017
2012	28,995,209
2013	36,388,924
2014	63,009,854
2015	81,906,024
2016	94,093,688
2017	110,362,893
2018	135,080,000
2019	176,098,142
2020	147,854,000
2021	140,848,525
2022	218,699,693
სულ	1,250,662,537



საკადრო პოლიტიკა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ 2008 წლიდან, განვითარების კვალდაკვალ ზრდიდა თანამშრომელთა რაოდენობას. 2021 წლის ბოლოსთვის თანამშრომელთა რაოდენობამ 2,992 ადამიანი შეადგინა, ხოლო 2022 წლის ბოლოს - 3,031, რაც გამოწვეულია აბონენტების რაოდენობის ზრდით და სალიცენზიო არეალის გაფართოებით.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას. ასევე, თანამშრომელთა წახალისების მიზნით, ჯგუფი იყენებს ბონუს სისტემას ინდივიდუალური შედეგების მიხედვით. თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყოველწლიურად უტარდება ტრენინგები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს საკადრო პოლიტიკის განვითარებას და ქმნის თანამშრომელთა სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა გადამზადებაზე, თითქმის ყველა მიმართულებით ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც ტექნიკური, ასევე ინოვაციებზე და ბიზნეს განვითარების კუთხით მომუშავე პერსონალისათვის.

2017 წლის 10 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში კომპანია შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ გახსნა თანამშრომელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი.

სასწავლო ცენტრი თანამშრომელთა პროფესიული ცოდნის ასამაღლებლად და პროფესიონალური უნარების სრულყოფის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში ერთიანი პოლიტიკის რეალიზაციის და უზრუნველყოფის მიზნით არის შექმნილი.

სასწავლო ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

- თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განახლება გაზის სფეროში მზარდი მოთხოვნების შესაბამისად.
- პროფესიონალური ცოდნის და შესაძლებლობების ამაღლება და სათანადო დონის უზრუნველყოფა.
- მოწინავე გამოცდილების, ახალი პროგრესული მეთოდებისა და ტექნოლოგიების შესწავლა.

ჯგუფის თანამშრომელთა 93% დასაქმებულია რეგიონებში.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზში“ მუდმივად მიმდინარეობს საკადრო პოლიტიკის ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს შრომის ეფექტურობის გაზრდას ინოვაციების დანერგვის გზით. ჯგუფში დაინერგა სხვადასხვა სისტემები, კერძოდ: ბილინგის სისტემა, CRM, ტელეფონია, სმს-ცენტრი. ეს ამცირებს რუტინულ სამუშაოს, რაც თავის მხრივ თანამშრომელთა მოტივაციას და

განვითარების შესაძლებლობას ზრდის, ასევე, ზოგავს დროს და შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, უფრო სწრაფად და ოპერატიულად მოემსახუროს აბონენტებს, რაც მათი კმაყოფილების კოეფიციენტზე დადებითად აისახება.

კომპანია ასევე ახორციელებს იმ სამუშაოების აუტოსორსინგს, რომელშიც თანამშრომლებს აქვთ ნაკლები კომპეტენცია. ჯგუფი ამ მეთოდს უკვე საკმაოდ წარმატებულად იყენებს სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას, ჯგუფი ქირაობს კონტრაქტორ კომპანიებს, რომლებიც ასრულებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს.

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. ჯგუფი არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

9. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

„სოკარის“, როგორც ჯგუფის, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს კულტურულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ და საქველმოქმედო პროექტებს.

გარემოზე ზრუნვა

რეგიონებში ინტენსიური გაზიფიცირებების დაწყებამდე ხდებოდა ხეების უკონტროლო ჭრა, რაც ამძიმებდა ეკოლოგიურ ფონს. გაზიფიცირება ხელს უწყობს ტყის საფარის შენარჩუნებას და დადებითად მოქმედებს ეკოსისტემაზე. კომპანიის გათვლებით, ინტენსიურმა გაზიფიკაციამ წელიწადში დაახლოებით 1 000 000 ხე გადაარჩინა მოჭრას. კვლევის მიხედვით, ეს ფაქტი მომხმარებლების სრულ უმრავლესობას სიმპატიით განაწყობს „სოკარის“ მიმართ.

ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობა დადებითად აფასებს „სოკარს“ და აზერბაიჯანს, როგორც სტაბილურ პარტნიორს, რომელმაც ენერგოკრიზისის დროს გამოიყვანა საქართველო მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან.

სოციალური და კულტურული პროექტები

- მარნეულში „სოკარის“ მხარდაჭერით გაიხსნა სასწავლო ცენტრის შენობა- ჩაის სახლი. სასწავლო ცენტრში მარნეულის, ბოლნისის, გარდაბანისა და დმანისის რაიონების ახალგაზრდებს ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენას უფასოდ შეასწავლიან. სასწავლო ცენტრში არის ასევე ჭადრაკის, ცეკვისა და ხალიჩების ქსოვის კურსები.
- სოკარის წარმომადგენლობის დაფინანსებით განხორციელდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის, დრამატურგის, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის, მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმისა და სამხატვრო გალერეის მშენებლობა-რესტავრაცია თბილისში. კულტურის კომპლექსს ახუნდოვ ჰაუსს წილად ხვდა საუკეთესო საზოგადოებრივი ნაგებობის წოდება.
- „სოკარი“ არის ინტელექტ-შოუ „რა? სად? როდის?“ სპონსორი.

ქველმოქმედება

სოკარი ზრუნავს ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და განათლების დონის ამაღლებაზე. წლების მანძილზე კომპანია აღიარებულია, როგორც სოციალური პროექტების უმსხვილესი ინვესტორი და ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო ღონისძიებებს:

- ბუნებრივი აირი სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებსა და ბავშვთა სახლებს.
- ბუნებრივი აირი ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობას.
- ბუნებრივი აირი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ყველა ობიექტს.
- სტუდენტების სწავლის დაფინანსება.
- საქველმოქმედო ფონდის - ნატურის ხე - გენერალური სპონსორობა. ფონდი 2014 წლიდან აფინანსებს ბავშვების მკურნალობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფს ამ ეტაპზე საკმაოდ მყარი პოზიცია უჭირავს ბაზარზე, კერძოდ, მას აქვს რამდენიმე უპირატესობა, რომელიც განაპირობებს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში მის სტაბილურ ფუნქციონირებას და მომავალ განვითარებას, მათ შორისაა: რეგიონალურ გაზის გაზგამანაწილებელ ბიზნესში მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება და კომპეტენცია, გაზსადენების ფართო ქსელი, ავტორიტეტული და ძლიერი აქციონერი (აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია).

ზემოთხსენებული ფაქტორები ქმნის შესაძლებლობას, რომ ჯგუფი მომავალში კიდევ უფრო განვითარდეს და გაფართოვდეს, მიაერთოს ახალი აბონენტები უკვე გაზიფიცირებულ რეგიონებში, გაფართოვდეს გეოგრაფიულად და აითვისოს არაგაზიფიცირებული რეგიონები და რაიონები, ასევე ტურისტული ზონები, სადაც მოხმარება საშუალოზე მაღალი იქნება.

ასევე, არსებობს გარკვეული საფრთხეები და დაბრკოლებები ზემოთხსენებული მესამე ენერგეტიკული პაკეტის განხორციელების პროცესში, რომელიც კომპანიისთვის ამ ეტაპზე საკმაოდ რთული გამოწვევაა და შესაძლოა ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს. თუმცა, საბოლოოდ ეს ცვლილებები მომხმარებლებზეც და ბაზარზე მოქმედ კომპანიებზეც დადებითად აისახება, რადგან გაზრდილი კონკურენცია აუმჯობესებს მიწოდებული მომსახურების ხარისხს.

მნიშვნელოვანი რისკია ასევე ლარის კურსის ფლუქტუაცია დოლართან მიმართებაში, ვინაიდან კომპანია გაზს ყიდულობს დოლარში, ხოლო რეალიზაცია საცალო აბონენტებზე ხდება ლარში.

11. ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები

პოლიტიკური ფაქტორები:

- აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ განვითარების და ბაზარზე მყარი პოზიციის გარანტიაა. პოლიტიკური ცვლილებები როგორც წესი, გავლენას არ ახდენს „სოკარზე“, რადგან აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობები სტაბილურია.
- ბოლო წლებში მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების ფონზე ბაზარი უფრო დაცული გახდა გაზის ტარიფთან დაკავშირებული პოლიტიკური სპეკულაციებისგან,

რადგან ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

- რეგიონის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური არასტაბილურობაც, რაც ასევე აისახება ენერგეტიკაზე.
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება: ამ ხელშეკრულების პირობებმა შესაძლოა ენერგეტიკული ბაზრის ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვიოს რეგულირებისა და კანონმდებლობის კუთხით.

ეკონომიკური ფაქტორები:

- სავალუტო რისკები - ლარის არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური პრობლემები.
- საპროცენტო განაკვეთი: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია თავისი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს სესხით აფინანსებს, საპროცენტო განაკვეთი დიდ გავლენას ახდენს მის ფინანსურ ხარჯებზე.
- ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა და შესაბამისად გაზის მოხმარება.

სოციალური ფაქტორები:

- მოსახლეობის ზრდის ტემპი შემცირებულია, რაც პირდაპირ მოქმედებს გაზის მოხმარების მოცულობაზე.
- გარემოს დაცვა - ბოლო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა გარემოზე ზრუნვას, რაც გულისხმობს ბაზარზე მყოფი კომპანიებისთვის დამატებით რეგულაციებს და მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას.
- დემოგრაფიული განაწილება - საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქებში. ქალაქის მოსახლეობას უფრო ნაკლები წვდომა აქვს გაზის შემცველ პროდუქტებზე, ვიდრე სოფლად. აქედან გამომდინარე, კონკურენციის რისკი ქალაქებში ნაკლებია.
- სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში - ბოლო წლებში ზრდის ტენდენციაა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გაზის მოხმარების მოცულობაზე.

ტექნოლოგიური ფაქტორები:

- ინტერნეტ და მობილური მომსახურებები საქართველოს ურბანულ რაიონებში კარგად არის განვითარებული, ხოლო სოფლებში ეტაპობრივად ფართოვდება დაფარვის ზონები, რაც ენერგო კომპანიებისთვისაც მომგებიანია, რადგან მარტივდება

მომხმარებელთან კომუნიკაცია და საოპერაციო საქმიანობა. (მაგ: აბონენტებისთვის ქვითრის ნაცვლად სმს-ის გაგზავნა).

- ამჟამად ინტერნეტი ხელმისაწვდომია თითქმის ყველა რეგიონში, რაც ნიშნავს მომხმარებელთა თავისუფალ წვდომას გაზთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე. (მაგალითად, გაზის უსაფრთხო მოხმარების წესები, ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია და ა.შ.)

გარემო ფაქტორები:

- კლიმატური ცვლილებები: გაზის ბაზარი მკვეთრი სეზონურობით გამოირჩევა. ზამთრის სეზონზე მოხმარება დამოკიდებულია 2 ძირითად ფაქტორზე, ზამთრის საშუალო ტემპერატურასა და დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივობაზე.
- საქართველოს ეკოსისტემა მდიდარია გაზის შემცველი პროდუქტებით, კერძოდ, შეშა, წყალი, ელექტროენერგია, თუმცა ამჟამად საქართველოში ხის ჭრაზე კონტროლი გამკაცრებულია, რამაც შესაძლოა განაპირობოს გაზის მოხმარების ზრდა.

საკანონმდებლო ფაქტორები:

- საგადასახადო პოლიტიკა: საგადასახადო სისტემის გამარტივება და ესტონურ მოდელზე გადასვლა ცალსახად დადებითად აისახება ბიზნესზე.
- სემეკის მიერ კონტროლდება სოციალური აბონენტების მიერთებაზე ფასწარმოქმნა. მარეგულირებელი აკონტროლებს მიერთების ვადებს, 40 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში აბონენტს უნახევრდება ტარიფი, ხოლო 80 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში - მთლიანად ჩამოეწერება ვალი.

12. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ჯგუფის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას. ჯგუფის განვითარების ამ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იგეგმება სამი ძირითადი მიმართულებით: კომერციული საქმიანობის ოპტიმიზაცია, ტექნიკური ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები.

ციფრული ტექნოლოგიები კომერციულ საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის

ბილინგის სისტემა

ბილინგის სისტემა წარმოადგენს კომპანიის მთავარ ციფრულ ინოვაციას, რომელიც დაინერგა კონკრეტულად შპს „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“. სისტემაში სრულად არის ასახული კომპანიის საოპერაციო საქმიანობის მოთხოვნები, როგორებიცაა:

- უნიფიცირებული აბონენტები
- ფინანსური კონტროლის მექანიზმები
- რეპორტირება
- ტარიფების მოქნილი სქემა
- სმს-ს გაგზავნა აბონენტებთან, საჭიროების შემთხვევაში ქვითრის ადგილზე ბეჭდვა.

CRM სისტემა

სისტემა რომელიც მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობის ყველა საშუალებას, როგორებიცაა: ცხელი ხაზი, მომხმარებლების მომსახურების ცენტრები, ვებ პორტალი. ამ სისტემის მიზანია აბონენტების კმაყოფილების ამაღლება აბონენტებთან ურთიერთობის ანალიზის მეშვეობით.

ვებ-პორტალი

წარმოადგენს სოციალურ და კომერციული აბონენტების ელექტრონულ ანგარიშებს. სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ნახონ თავიანთი ისტორია კომპანიაში. ვებ-პორტალის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენ:

- აბონენტების ბარათები
- უსაფრთხოების წესები
- მომსახურებების შეთავაზება
- ონლაინ გადახდები

ციფრული ტექნოლოგიები ტექნიკურ ოპერაციებში

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა

აღნიშნულ სისტემაში ასახულია ჯგუფის ფიზიკური ინფრასტრუქტურა: გაზსადენები, მრიცხველები და ა.შ. რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას ადგილზე მისვლის და გეგმიური შემოვლების გარეშე აღმოფხვრას პოტენციური პრობლემები. ასევე იგეგმება GIS სისტემის ინტეგრირება ბილინგის სისტემასთან, რაც ჯგუფს მისცემს საშუალებას სამუშაო პროცესები უკვე ამ სისტემის მეშვეობით განახორციელოს.

სადისპეჩერო ცენტრი

სადისპეჩერო ცენტრი წარმოადგენს ბუნებრივი გაზის უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდების მაკონტროლებელ ცენტრს, ის აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა სისტემებიდან, ახდენს მათ კონსოლიდაციას და ჯგუფს სთავაზობს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, კორექტორებიდან, რომლებიც დაყენებულია საუბნო მრიცხველებზე, იღებს ინფორმაციას წნევის და დატვირთვის შესახებ, ხოლო CRM სისტემიდან - ავარიების შესახებ და ამის მეშვეობით გეგმავს ავარიის აღმოფხვრის საფეხურებს. სადისპეჩერო ცენტრის მთავარი ფუნქციებია:

- ოპერატიული, მოქნილი და ეფექტური რეაგირება პრობლემებზე, როგორიცაა ავარიები, ქსელში წნევის დაცემა და ა.შ.
- ჯგუფების მუშაობის კოორდინირება
- ადამიანური შეცდომის შემცირება გადაწყვეტილების მიღების დროს

ჩვენების აღების ტექნოლოგია

2012 წელს ჯგუფში დაინერგა მობილური ტერმინალები შტრიხ კოდის წამკითხველი აპარატით. ყველა მრიცხველზე დამონტაჟდა შტრიხ კოდი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით. ტერმინალის საშუალებით წამკითხველი კითხულობს მრიცხველზე დატანილ შტრიხ-კოდს. აბონენტს მომენტალურად ეგზავნება სატელეფონო შეტყობინება (SMS) დავალიანების დარიცხვასთან დაკავშირებით. ამ ტექნოლოგიის დანერგვამ შეამცირა წამკითხველის მიერ ერთ აბონენტზე დახარჯული დრო და გადახდის ლოდინის ვადა.

13. მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზში“ მარკეტინგის დეპარტამენტი შეიქმნა 2015 წელს, მისი მიზანია მომხმარებლებში კომპანიის ცნობადობის გაზრდა, სიახლეების და ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად და სრულყოფილად მიწოდება. საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად ჯგუფი ახორციელებს ბაზრის კვლევას და საჭიროების მიხედვით მიმართავს საკომუნიკაციო კამპანიებს.

ჯგუფი ფრონტ ოფისებში დამონტაჟებულ ელექტრონული მონიტორებზე, ასევე კომპანიის ვებ გვერდზე და სოციალურ მედიაში, განათავსებს ნებისმიერი სახის შეთავაზებას, სხვადასხვა შინაარსის ტექსტსა და შეტყობინებას აბონენტებისათვის. ასევე უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ჯგუფი არიგებს საინფორმაციო ბროშურებს გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით. 2018 წლიდან, კლიენტებს ახალ კომერციული შეთავაზებებს აცნობენ ქოლ ცენტრის ოპერატორები. ხოლო აბონენტებს სმს-ით ეგზავნებათ სარეკლამო-საინფორმაციო შეტყობინებები.

მარიამ ვალიშვილი

დირექტორი

26 სექტემბერი, 2023 წელი

გამოყენებული მასალები:

- 1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის ანგარიში.*
- 2. შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის, შპს „იუაი“-ს დასკვნასთან ერთად.*

13. მარკეტინგული სტრატეგია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

შპს „სოკარ ჯორჯია გაზში“ მარკეტინგის დეპარტამენტი შეიქმნა 2015 წელს, მისი მიზანია მომხმარებლებში კომპანიის ცნობადობის გაზრდა, სიახლეების და ნებისმიერი სახის ინფორმაციის სწრაფად და სრულყოფილად მიწოდება. საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად ჯგუფი ახორციელებს ბაზრის კვლევას და საჭიროების მიხედვით მიმართავს საკომუნიკაციო კამპანიებს.

ჯგუფი ფრონტ ოფისებში დამონტაჟებულ ელექტრონული მონიტორებზე, ასევე კომპანიის ვებ გვერდზე და სოციალურ მედიაში, განათავსებს ნებისმიერი სახის შეთავაზებას, სხვადასხვა შინაარსის ტექსტსა და შეტყობინებას აბონენტებისათვის. ასევე უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ჯგუფი არიგებს საინფორმაციო ბროშურებს გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით. 2018 წლიდან, კლიენტებს ახალ კომერციული შეთავაზებებს აცნობენ ქოლ ცენტრის ოპერატორები. ხოლო აბონენტებს სმს-ით ეგზავნებათ სარეკლამო-საინფორმაციო შეტყობინებები.

მარიამ ვალიშვილი

დირექტორი



26 სექტემბერი, 2023 წელი

გამოყენებული მასალები:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის ანგარიში.
2. შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის, შპს „იუაი“-ს დასკვნასთან ერთად.